899.962-1
5 – 981

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ლელა მურმანის ასული ახალაია

# ქალთა სახეები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში

10.01.01 - ქართული ლიტერატურა

## ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1997 წ.

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის განყოფილებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
შოთა აგლაძე

ექსპერტი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
როსტომ ჩხეიძე

ოფიციალური ოპონენტები:
1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, სოსო სიგუა
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
მაია ძიგუა

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

წამყვანი ორგანიზაცია
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1997 წლის 1 ოქტომბერს 12 სთ.-ზე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (Ꝑ. 10.01.C № 3) სხდომაზე.
მისამართი: 380008, ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა №5
დისერტაციის გაცნობა შეიძლება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაგზავნილია 15/VII-1997წ.
სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი /ნ. ანდრონიკაშვი[li]

# ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა: ქალის ხატებას ხელოვნებაში უდიდესი აზრობრივი და ესთეტიკური დატვირთვა აქვს. ხელოვნების ყოველი დარგი თავისებურად წარმოაჩენს მის შინაგან ბუნებასა თუ გარეგნულ სრულყოფილებას. სუსტი სქესის ყოველი მხატვრული წარმოჩინება გარკვეული იდეის, აზრის გამოსახვას ემსახურება. სწორედ ამ ხატვის მანერაში წარმოჩინდება თვით ავტორის იდეური სამყარო, მისი თვალთახედვა და თანადროული საზოგადოების იერ-სახეც. მწერლობა ხელოვნების ყველაზე უფრო გამომსახველობითი ჟანრია, რადგან უსაზღვროა სიტყვის ძალა და მხატვრული შესაძლებლობები. ამიტომაც ლიტერატურულ ნაწარმოებში წარმოდგენილი ქალი უფრო სრულყოფილია, ვიდრე ფერწერასა თუ ქანდაკებაში. აქ ყველაზე დიდი გასაქანი ეძლევა ოცნებას, ღვთიურს, ირეალურს, იდუმალს და სიცოცხლე ენიჭებათ ჯერ კიდევ არარსებულ ფერებსა თუ ფიგურებს, არ არსებობს სცენური თუ რომელიმე ხელოვნური შეზღუდულობა.

მკითხველის ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა კ.გამსახურდიას ნაწარმოებთა ქალთა სამყარო. მწერლის ეპიკურ ტილოებსა თუ მოქნილ, ექსპრესიულ სურათებზე ასახული მანდილოსანთა სახეები გარკვეულ მნიშვნელობასა და ფუნქციას იძენს მხატვრული